სასჯელის ეკონომიკური დასაბუთების საკითხის აქტუალობა

გიორგი თოდრია

სამართლის დოქტორი, თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის პროფესორი, სამართლის მეცნიერთა კავშირის წევრი

ელ. ფოსტა: gtodria@yahoo.com

აბსტრაქტი

ამ ნაშრომის მთავარი მიზანია – სასჯელის ეკონომიკური დასაბუთების შესწავლა. მისი თავისებურება მდგომარეობს განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში სადამსჯელო პოლიტიკის ეფექტური ღონისძიებებისა და მეთოდების გამოვლენის აუცილებლობაში. ასევე, სადამსჯელო ტენდენციების განვითარების ანალიზის საჭიროებასა და იმ ფაქტორების აღმოფხვრის შესაძლებლობაში, რომლებიც ხელს უშლიან, გავიგოთ დასჯის პრაქტიკის რეალური ადგილი მოსახლეობის არსებობის პირობებში. ამ მიმართულებით კრიტიკულად განიხილება სასჯელის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია და სასჯელის ნეოინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია. შესაბამისად, სტატიაში მტკიცდება აზრი, რომ სახელმწიფო პოლიტიკის პრეტენზიების საზღვრებიდან გასვლა საზოგადოების ეკონომიკური კანონების სფეროში მეცნიერებას საშუალებას მისცემს გადახედოს სამეცნიერო კვლევის ამოცანებს. იურიდიული და ინსტიტუციური ვირტუალური თემების ნაცვლად მეცნიერებამ უნდა მიმართოს დასჯის სოციალურ პრობლემებს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ბირთვს – სასჯელის ეკონომიკას. შესაბამისად, სახელმწიფოდან საზოგადოებაში ვირტუალური გადაადგილების ნაცვლად აზროვნება საზოგადოებიდან დასჯის პოლიტიკაზე დაიწყებს გადასვლას. ამ მომენტიდან იწყება სასჯელის მეცნიერული კვლევის სვლა.

საკვანძო სიტყვები: დანაშაულობა, ეკონომიკა, განვითარება

TOPICALITY OF THE ISSUE OF ECONOMIC JUSTIFICATION OF PUNISHMENT

Giorgi Todria

Doctor of Law, Senior Researcher at Tinatin Tsereteli Institute of State and Law, Professor at Law School of Grigol Robakidze University, member of Union of Law Scientists

Email: gtodria@yahoo.com

ABSTRACT

The primary goal of this paper is to study the economic justification of punishment. Its characteristic lies in the need to identify effective measures and methods of punitive policy under the condition of the developed market relations. Moreover, in the need to analyze the development of punitive trends and the possibility of eliminating the factors preventing us from understanding the actual place of punishment practice amidst the existence of the population.

In this regard, the neo-classical economic theory of punishment and the neo-institutional economic theory of punishment are critically discussed. Consequently, the article reaffirms the opinion that going beyond the boundaries of state policy claims will allow the science in the field of society economic laws to revise the scientific research objectives. Instead of legal and institutional virtual themes, the science should address the social problems of punishment, especially its central core – the economics of punishment. Consequently, instead of a virtual shift from the state to the society, the mindset will start shifting from the society to the policy of punishment. That is the moment when the scientific research of punishment starts progressing.

KEYWORDS: Criminality, Economic, Development

1. კვლევის საჭიროება

რატომ გვჭირდება ამ საკითხის მოგვარება? სასჯელის ეკონომიკური დასაბუთების შესწავლის აქტუალობა მდგომარეობს განვითარებული საბაზრო ურთიერთობების პირობებში სადამსჯელო პოლიტიკის ეფექტური ღონისძიებებისა და მეთოდების გამოვლენის აუცილებლობაში. ასევე სადამსჯელო ტენდენციების განვითარების ანალიზის საჭიროებასა და იმ ფაქტორების აღმოფხვრის შესაძლებლობაში, რომლებიც ხელს უშლიან, გავიგოთ დასჯის პრაქტიკის რეალური ადგილი მოსახლეობის არსებობის პირობებში.

რა სარგებელს მოუტანს ეს საზოგადოებას? კონტროლის ეკონომიკურ ორგანიზებასთან დაკავშირებისას ცხადი უნდა იყოს, რა იძალება სახელმწიფოს სადამსჯელო პოლიტიკაში, კერძოდ, ის, რომ სასჯელი ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოების ეკონომიკურ პროცესებში. შესაბამისად, სადამსჯელო ღონისძიებების გამართლებისა და განხორციელებისას ყველა სოციალური ძალა უნდა გადაიმართოს სოციალურ და ეკონომიკურ რეფორმებზე. ამრიგად, შესაძლებელი ხდება ინსტიტუციური და იურიდიულ-დოგმატური გარდაქმნების ვიწრო ჩარჩოებიდან გასვლა, რომლებიც ამახინჯებენ სასჯელის გამართლების რეალურ სურათს.

როგორ დაეხმარება ეს სამეცნიერო სფეროს? სახელმწიფო პოლიტიკის პრეტენზიების საზღვრებიდან გასვლა საზოგადოების ეკონომიკური კანონების სფეროში მეცნიერებას საშუალებას მისცემს გადახედოს სამეცნიერო კვლევის ამოცანებს. იურიდიული და ინსტიტუციური ვირტუალური თემების ნაცვლად მეცნიერებამ უნდა მიმართოს დასჯის სოციალურ პრობლემებს, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ბირთვს – სასჯელის ეკონომიკას. შესაბამისად, სახელმწიფოდან საზოგადოებაში ვირტუალური გადაადგილების ნაცვლად აზროვნება საზოგადოებიდან *დასჯის პოლიტიკაზე დაიწყებს გადასვლას. ამ მომენტიდან იწყება სასჯელის მეცნიერული კვლევის სვლა.*

2. საკითხის მდგომარეობა

საკმარისად არის თუ არა დამუშავებული აღნიშნული პრობლემა? თავისი ეკონომიკური ბუნებით დასჯის სახელმწიფო პოლიტიკა არის არაეკონომიკური მითვისების ფორმა.* თუ აზროვნება არ გასცდება ამ სფეროს და არ ჩასწვდება საზოგადოების ღრმა პროცესების არეალს, მაშინ იძულებული იქნება, დაინახოს დანაშაული მარტო სასჯელის დასაბუთების სახით. აქ დანაშაული არის ქმედება, რომელსაც განსაზღვრავს სახელმწიფო, ხოლო სასჯელი არის სახელმწიფოს რეაქცია, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათზე, თუ რეალობის ამ მონაკვეთით შემოვიფარგლებით, მაშინ აზროვნება იძულებული გახდება დანაშაულისა და სასჯელის ურთიერთობა არსებით ურთიერთობად აღიაროს. იბადება კითხვა: თუ ეს ურთიერთობა მნიშვნელოვანია, მაშინ უნდა გამოდიოდეს, რომ დანაშაულობის ცვლილებას ყოველთვის უნდა მოჰყვეს სასჯელის ცვალებადობა? სინამდვილეში საპირისპირო კანონზომიერება ფიქსირდება.

საზოგადოებაში (მაგ., აშშ-ში) შეინიშნება დანაშაულთა რიცხვისა და პატიმრობაში მყოფთა რაოდენობის ერთურთი-

* ეკონომიკური იძულების პირობებში მუშა თავისუფალია შრომის ბაზარზე, მაგრამ იძულებულია იმუშაოს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორების (ხელფასის, საარსებო პროდუქტის ფასების, კაპიტალის კონკურენციის და ა.შ.), ხოლო არაეკონომიკური იძულების პირობებში – კანონის ან ფიზიკური ძალის ზეგავლენის გამო.

საგან დამოუკიდებელი განვითარება. ამდენად, გამოდის, რომ სრულდება ის პირობა, რომელიც უხილავია დანაშაულობისადმი სახელმწიფოს მიმართებაში, კერძოდ, აუცილებელი კავშირის არსებობის პირობა იმ მოვლენებს შორის, რომლებიც არ წარმოადგენენ არც დანაშაულს და არც სასჯელს, თუმცა კი, სწორედ ამ იურიდიული ფორმებით არსებობენ. მაშასადამე, თუ დანაშაულობა მერყეობს პატიმართა რაოდენობის და მიუხედავად, მაშინ გამოდის, რომ არ არსებობს რაიმე მიზეზობრივი კავშირი მათ შორის.* გამოდის, რომ სახელმწიფო სადამსჯელო რეაქციას დანაშაულობაზე მიმართავს დანაშაულობისაგან დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომელიც ნებისმიერ იურისტს გააკვირვებდა. აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში დანაშაული არ არის სასხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი, ხოლო ეს უკანასკნელი, საეჭვოა, რომ შეეძლოს წარმოსდგეს სახელმწიფოს საპასუხო რეაქციად, რომელიც, როგორც ეჩვენება იურისტს, უნდა იყოს განპირობებული სწორედ დანაშაულის ფაქტით. ამიტომ პატიმართა და დანაშაულობის კოეფიციენტების კორელაციის არარსებობის ანალიზის შედეგად გერმანელი მეცნიერი ჰ. ალბრეხტი ასკვნის, რომ სასჯელი დანაშაულით არ აიხსნება.**

სასჯელისადმი სახელმწიფოს დამოკიდებულებაში არ ჩანს, რომ **დანაშაულობა ყოველთვის სახელმწიფოს პოლიტიკის ხელშეწყობით გამოწვეული არსებობის პირობების გაუარესების დაძლევის ხერხის სახით გვევლინება. აი, რატომაა, რომ სასჯელების გამოყენების ტენდენცია (პატიმართა კოეფიციენტის მიხედვით) არასოდეს არ ემთხვევა დანაშაულობის ცვლილებას. ამ გაგებით უხილავი ფორმის სახით სასჯელის ინსტიტუტი წინ უძღვის დანაშაულს, როგორც საზოგადოებაში არსებული წყობის გამტკიცების საშუალება, ზედაპირზე კი დანაშაული სასჯელის სისხლისსამართლებრივი საფუძვლის სახით მოჩანს. მარტო სისხლის სამართლის პოლიტიკის ვირტუალურ სამყაროში დანაშაული „ქმნის“ სასჯელს. სინამდვილეში, როგორც ე. დიურკემმა შენიშნა, დანაშაულს სასჯელი კი არ ქმნის, არამედ დანაშაული სასჯელის მეშვეობით ვლინდება. ასე რომ, სასჯელი უნდა იყოს ჩვენი საწყისი წერტილი, თუ გვინდა გავიგოთ დანაშაული.**[1] საზოგადოება სახელმწიფოსთან მიმართებაში, ჰეგელის თქმით, მოიაზრება როგორც "ცარიელი არსი". ამიტომ სისხლის სამართლის პოლიტიკა იძენს საზოგადოების უარყოფის ადეკვატურ ფორმას, ანუ ის მოკლებულია არსს, ყოველი მისი ნაბიჯი წინააღმდეგობრივია და უმიზნოა. ზედაპირზე საზოგადოება, როგორც მართლზომიერების საზომი, არ წარმოადგენს მის მიზანსა და პრინციპს.

ჯერ კიდევ „სამართლის ფილოსოფიაში“ ჰეგელი აღნიშნავდა, რომ სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ დანაშაული და მისი მოხსნა წარმოედგინათ, როგორც სხვადასხვა ბუნების მატარებლები, მაშასადამე, არ აღიარებდნენ ორივეს

* დეტალურად ეს კანონზომიერება აღწერილია ნაშრომში: Western, T., S. Redburn, 2014. The Growth of Incarceration in the United States, Exploring Causes and Consequences. Committee on Causes and Consequences of High Rates of Incarceration. Washington, D.C., გვ. 47.

** დაწვრილებით იხ.: Albrecht, H., 2013. Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing, Law and Contemporary Problems. გვ. 211-236.

1 Durkheim, É., 2013. The Rules of Sociological Method and Selected Texts on Sociology and its Method. second sdition, გვ. 45-46.

აუცილებელ იგივეობას, იმას, რომ დანაშაულში უკვე დავანებულია მისი განადგურება.[2] დანაშაულებრივი ქმედება არ არის პირველადი და პოზიტიური, რომლის უარყოფისკენ მიდის სასჯელი. უნდა ვეძებოთ „რეალობის აუცილებელი ფაქტორი“.[3] თუმცა, თუ ფილოსოფიური მსჯელობიდან კვლავ დავუბრუნდებით რეალობას, აღმოვაჩენთ სასჯელის ბუნების იურიდიული გაგების ზედაპირულობას. მთავარი სირთულე კი სახელმწიფოს ეკონომიკური როლის უგულებელყოფაშია. მოხელეს ფეტიშირებულ გაგებაში მოვლენების რეალური კავშირები არ ჩანს. პირიქით, ზედაპირზე ისე ჩანს, რომ დანაშაულთა რიცხვის ზრდას საზოგადოებაში ადგილი აქვს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად, რომ იგი აღმოჩნდება დანაშაულობასთან პირისპირ, რომელიც განვითარდა სახელმწიფოს მინაწილეობის გარეშე. მაშასადამე, გამოდის, რომ სახელმწიფო იწყებს ბრძოლას დანაშაულობის წინააღმდეგ, როგორც დემირუნგი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს მოსახლეობის არსებობის პირობების გაუარესებასთან. მოკლედ, სახელმწიფოს პოლიტიკა ზედაპირზე ისე არის წარმოდგენილი, რომ ის მოსახლეობის პირობების გაუარესებაში არსებითად არ მონაწილეობს.

მეცნიერების პირველი და მთავარი ამოცანაა დანაშაულსა და სასჯელს შორის იმ შინაგანი კავშირის აღმოჩენა, რომელიც საჯარო პოლიტიკაში არ ჩანს. რაც შეეხება დასჯის პრობლემას, ეს მიიღწევა იმით, რომ სახელმწიფოს სადამსჯელო რეაქცია დაიყვანება თანამედროვე საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ კანონებზე. საბოლოოდ, მეცნიერებამ უნდა უპასუხოს კითხვაზე: რა პირობებს ქმნის მოგებისათვის პუნიტიური პოლიტიკა,* როგორც ადამიანებზე არაეკონომიკური ზემოქმედების ფორმა? კვლევის მთელი სირთულე მდგომარეობს იმაში, თუ ეკონომიკის რომელი ასპექტი უნდა იყოს არჩეული სასჯელის გაგების საწყის წერტილად.

2.1. სასჯელის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია

თანამედროვე სამართლის ეკონომიკის კვლევა თარიღდება დაახლოებით

2 Hegel, G., 2001. Philosophy of Righ (Translated by S.W Dyde). Batoche Books Limited, გვ. 93-94.

3 იქვე, გვ. 89.

* პუნიტიური პოლიტიკა (ლათ. punio – დასჯა) არის სახელმწიფო იძულების ფორმა, რომელსაც მიმართავს სახელმწიფო საკანონმდებლო რეგულირებით, პოლიციის კონტროლით, საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით, რათა დაადგინოსს ქმედების შემადგენლობის, გაასამართლოს სამართალდამრღვევი სუბიექტი, მოახდევინოს ციხეში სასჯელი და დააწესოს სასჯელის მოხდის შემდეგ თავისუფლების შეზღვუდვის წესები. პუნიტიური პოლიტიკა რთული პროცესია, რომელიც არ შემოგარგლება მხოლოდ დასჯით. იგი მოიცავს ამ პოლიტიკის სტრატეგიის იდეოლოგიურ მომზადებას, მის საკანონმდებლო მოდელირებას, პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორიენტაციას დევიანტურ აქტებთან ბრძოლაზე და ა.შ. ამავდროულად, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში პუნიტიური პოლიტიკა მოქმედებს როგორც კაპიტალის დაგროვების საშუალება. მაშასადამე, იგი ერთდროულად მოქმედებს როგორც გარდასახვითი ფორმა, რომელიც ბევრად სცილდება იურიდიული მახასიათებლების საზღვრებს. ეს ნიშნავს, რომ არანაირად არ არის შესაძლებელი კატეგორიების აღქმა, რომლებიც ზედაპირზე მოცემულია სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით. ამრიგად, არ შეიძლება გამოვიდეთ იმ ვიწრო სამყაროდან, რომელიც სახელმწიფოს თვალსაზრისიდან ჩანს. წარმოდგენილ ნაშრომში ჩვენ არ გამოვდივართ პუნიტიური პოლიტიკიდან, არამედ ვუახლოვდებით მას.

1960 წლიდან, როდესაც რონალდ კოზმა (მოგვიანებით ნობელის პრემიის ლაურეატი) გამოაქვეყნა ნაშრომი „სოციალური დანახარჯების პრობლემა“. გორდონ ტალოკი და ფრიდრიხ ჰაიეკიც წერდნენ ამ სფეროში, მაგრამ მისი გაფართოება დაიწყო ნობელის პრემიის ლაურიატის, გარი ბეკერის, 1968 წელს გამოქვეყნებული სტატიით – „დანაშაული და სასჯელი: ეკონომიკური მიდგომა“. მოგვიანებით 1972 წელს ფედერალურმა მოსამართლემ, რიჩარდ პოზნერმა, ეფექტურობის პოზიტიური თეორიის წამყვანმა დამცველმა, გამოაქვეყნა კანონის ეკონომიკური ანალიზის პირველი გამოცემა და დააარსა იურიდიული კვლევების ჟურნალი.* სწორედ ამ კვლევებში გაკეთდა პირველი მცდელობა გადაეჭრათ სასჯელისა და კანონის ეკონომიკური დასაბუთების პრობლემა რაციონალური არჩევანის ეკონომიკური თეორიის ფარგლებში, რომელიც შემოიფარგლებოდა მიმოქცევის, კონკურენციის სფეროთი. ამრიგად, ეკონომიური მიწოდებისა და მოთხოვნის კანონზომიერება საფუძვლად დაედო სასჯელის ბუნების გაგებას. შედეგად, მეცნიერება უამრავ კითხვას წააწყდა.

საკითხთა პირველ ჯგუფში შედის მსოფლმხედველობრივი ხასიათის საკითხები. 60-იანი წლების ბოლოდან შეერთებულ შტატებსა და ზოგიერთ სხვა წამყვან ქვეყანაში სასჯელის პრობლემების ინტერპრეტაციისას ჩაისახა სოციოლოგიური რეალიზმის უარყოფის ტენდენცია. თეორიები, რომლებიც ცდილობენ სასჯელის კატეგორიის გააზრებას კონკრეტული ტიპის სასჯელის საჭიროების სოციოლოგიური დასაბუთების საფუძველზე, წარსულს ჩაბარდნენ.** ამერიკელი ეკონომისტის, გორდონ ტალოკის აზრით, ასეთი ბუნების ნებისმიერი მსჯელობა ეთიკური ხასიათისაა და ეკონომისტის ინტერესს არ წარმოადგენს.*** წინა პლანზე წამოიწია სასჯელის ნეოეკონომიკური ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც გარკვეული ტიპის სასჯელის გამოსაყენებლად აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ პრეფერენციები მუდმივია და ქცევითი ცვლილებები შეიძლება სასჯელის ცვლილებით აიხსნას. ამ კონცეფციის თანახმად, სასჯელის მეტამორფოზებს საზოგადოების კანონები კი არ განსაზღვრავენ, არამედ ინდივიდები, რომლებიც ითვალისწინებენ თითოეული ალტერნატიული ზღვრული ხარჯების სარგებელს და ამის საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, როგორც მიაჩნიათ, სასჯელის ესა თუ ის ზომა უნდა იქნას გამოყენებული ამ ინდივიდუალური მისწრაფებების გათვალისწინე-

* მიმოხილვა იხ: Rubin, P.,“Law and Economics” in the Library of Economics and Liberty. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.econlib.org/library/Enc/LawandEconomics.html> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].

** სოციალურ-ფსიქოლოგიური მიდგომის მომხრეები ცდილობდნენ აეხსნათ კითხვა: როგორ შეიძლება პრივატიზაციამ შეცვალოს სასჯელის ფუნქციური შედეგები? ამ მიმართულებით იკვლევდნენ პატიმრების მიმართ პერსონალის დამოკიდებულებას, პატიმართა პირად ინტერესებს, ციხის რიტუალებს და ა.შ. (Burkhardt, B. and Connor, B., 2015. Durkheim, privatization, private prisons, punishment, Social Currents, 3 (1), OSU, p. 1-25). ან იკვლევდნენ ციხეების პრივატიზაციის ასახვას საზოგადოებრივ ცნობიერებაში (Enns, P. and Ramirez, M., 2018. Privatizing punishment: testing theories of public support for private prison and immigration detention facilities. Criminology, 56 (3), გვ. 546-573). ანალიზის გარეშე რჩებოდა ციხეების პრივატიზაციის ეკონომიკური მიზეზები, რაზეც ეკონომისტებმა მიაქციეს ყურადღება.

*** იხ. Tullock, G., 1980. Does Punishment Deter Crime? The Economics of Crime. Cambridge, N. Y. etc., გვ. 127-136.

ბით.* როგორც ამერიკელი ეკონომისტი პოლ რუბინი წერს, სწორედ დასჯის საჭიროების შეზღუდვა ინდივიდის პრეფერენციებით არის „ამ ტიპის კვლევის მთავარი დაშვება.“**

მათემატიკურად რომ ვთქვათ, ნეოკლასიკურ კონცეფციაში სასჯელი არის ინდივიდუალური აქტივობის ფუნქცია, ვინაიდან მინიმალური ინფორმაცია, რომელსაც დამნაშავე ფლობს, აღმოჩნდება მისი რაციონალური არჩევანის საფუძველი. სასჯელი მოქმედებს როგორც ცვლადი, რომელიც მთლიანად დამოკიდებულია ინდივიდის რაციონალურ არჩევანზე. დასკვნა, რომლისკენაც მიისწრაფის ნეოკლასიკური ეკონომიზმი, შემდეგია: რისკისკენ მიდრეკილ პირების მიმართ გაცილებით დიდი შემაკავებელი ეფექტი აქვს დევიანტის გამოვლენის პროცედურის ალბათობას, ვიდრე სასჯელის სიმძიმეს, ხოლო იმ პირების მიმართ, რომლებიც არ არიან რისკისადმი მიდრეკილი, პირიქით, შემაკავებელი ეფექტი იქნება სასჯელის სიმძიმის მატება, ისევე, როგორც თავად სასჯელის ალბათობის პროპორციული ზრდა.***

დანაშაულობის ანალიზისადმი ეკონომისტების მიდგომის არსი მდგომარეობს იმ დაშვებაში, რომ კრიმინალები მოქმედებენ დადებითი ან უარყოფითი სტიმულის შესაბამისად და, რომ დანაშაულთა რაოდენობა დამოკიდებულია კერძო და საჯარო რესურსებზე, რომლებიც გამოყოფილია სამართალდამცავი ორგანოებისათვის და დანაშაულის აღკვეთის ყველა მიმართულებაზე.

ნებისმიერი თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მსგავსად, რომლებიც ვერ სცილდებიან გაცვლის პროცესს, სასჯელისადმი ნეოკლასიკური მიდგომა არ მოითხოვს, რომ ყველა დამნაშავემ იმოქმედოს მხოლოდ გარე სტიმულის გავლენის ქვეშ. სავსებით საკმარისია, რომ პოტენციური დამრღვევთა მნიშვნელოვანი ნაწილის ქცევა მაინც მიუახლოვდეს „გარე სტიმული – დანაშაულებრივი ქმედებების“ მოდელს. ამ მიმართულების ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ მათი მიდგომა გამოიყენება არალეგალური საქმიანობის ფართო სპექტრის შესწავლისთვის – გადასახადებისგან თავის არიდებადან მკვლელობამდე.****

აშკარაა, რომ სასჯელის ეს ეკონომიკური დასაბუთება სუბიექტურია, რადგან აიგება ინდივიდის რაციონალურ არცევანზე. რიგ ქვეყნებში სასჯელის ნეოკლასიკური თეორიების გავრცელება შემთხვევითი არ არის. ამ მიმართულებით მოქმედებს ორი ტენდენცია:

პირველი მათგანი არის კაპიტალისტური ეკონომიკის ახალი ფორმების განვითარება, რომლებიც მუდმივად რთულდება საზოგადოების უთვალავი ფაქტორის გადაჯაჭვულობით. სამართალდამცავი ორგანოების ყოველდღიური პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ უმუშე-

* იხ. Becker, G., 1974.Crime and Punishment: An Economic Approach, Essays in the Economics of Crime and Punishment, National Bureau of Economic Research, Inc, გვ. 1-54; Stigler, G. 1974. The Optimum Enforcement of Laws , Essays in the Economics of Crime and Punishment, National Bureau of Economic Research, Inc, გვ 55-67; Fielding, N., Clarke, A. and Witt, R., 2000. An Introduction to the Economic Dimensions of Crime and Punishment, The Economic Dimensions of Crime. Macmillan Press Lt, გვ. 1-15; Winter, H., 2008. The Economics of Crime. Taylor & Francis Books, გვ. 11-22 და ა.შ.

** იხ. Rubin, P., 1980. The economics of crime – The economics of crime. N.Y., გვ. 13-26.

*** იქვე.

**** დაწვრილებით იხ. Fielding, N., Clarke, A. and Witt, R., 2000. An Introduction to the Economic Dimensions of Crime and Punishment, The Economic Dimensions of Crime. Macmillan Press Lt, გვ. 1-15.

ვრობა, სიღარიბე, განათლების დაბალი დონე და ა.შ. სოციალური ცხოვრების მოვლენები არაერთგვაროვან გავლენას ახდენენ ადამიანების მიდრეკილებებზე. ამასთან, მუდმივად იგრძნობა, რომ დანაშაულის პრევენციის პროგრამები, მათ შორის სასჯელის კრიტერიუმების განსაზღვრა, იძულებულია გამართლდეს ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედი ფაქტორებით. ამრიგად, პესიმიზმი აზროვნების ყველა შრეს აღწევს, რადგან საზოგადოება დანახულია კაპიტალის მიმოქცევის (ეკონომიკური მოთხოვნა-მიწოდების, კონკურენციის) თვალსაზრისით და ამიტომ კვლავ რჩება გაუგებარი და არასტაბილური. ამ სოციალურ ქაოსში სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა სულ უფრო და უფრო ძვირდება. სადამსჯელო პროგრამებში ფინანსური ინვესტიციების მუდმივი ცვლილება სიტუაციას არ ცვლის – დანაშაულობა იზრდება მათთვის გაურკვეველი კანონზომიერების ზეგავლენის შედეგად. ითვლება, რომ, თუ საზოგადოება არ არის ნათელი, მაშინ ადამიანი უნდა დაკმაყოფილდეს იმ ინფორმაციით, რომლითაც ინდივიდი შემოიფარგლება რაციონალური არჩევანით. ამ მიმართულებით, როგორც გ. ტალოკი წერს, ეკონომისტისთვის სასჯელის აუცილებლობის შესახებ ორი პოზიცია უფრო საინტერესოა: პირველი ის არის, რომ სასჯელი აკავებს დანაშაულს და მეორე ის, რომ სასჯელს შეუძლია დამნაშავე გამოასწოროს.*

მეორე ტენდენცია, როგორც ამერიკელი კრიმინოლოგები მ. ლანიერი და ს. ჰენრი აღნიშნავენ, ყალიბდება რეაბილიტაციის სკეპტიციზმის შეცდომებით. სასამართლო დისკრეციის გაფართოებამ და აშშ-ს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში თავისუფლების აღკვეთის შეუზღუდავი ვადით გამოყენების პრაქტიკის მიღებამ დაუბრუნა სასჯელის იდეა უძველესი საზოგადოებების იდეალს. ამ კონცეფციის თანახმად, თუ ინდივიდს დანაშაულის ჩადენამდე მიჰყავდა მისი უნიკალური ცხოვრებისეული გარემოებები, მაშინ თითოეულ დამნაშავეს სასჯელი უნდა დაეკისროს არა ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, არამედ მისი მოთხოვნათა მიხედვით. თავს იჩენდა გადახვევა სასჯელის პოლიტიკის ძირითადი ელემენტებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ წარმოდგენილი იყო ევროპელი მოაზროვნეების ბეკარიასა და ბენთამის ნაწერებში: 1) სისხლის სამართლის სისტემის ყველა საპროცესო ეტაპზე სასამართლოს დისკრეცია შეზღუდული უნდა იყოს, 2) განაჩენის გამოტანისას უნდა იყოს მეტი ღიაობა, 3) სასჯელი დასაბუთებული უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის შეფასების ფარგლებში და 4) სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმეს, უნდა ითვალისწინებდეს ქმედების ფაქტობრივ ზიანს და პირის ბრალეულობას.[4] ამ პრინციპების იგნორირების შედეგად აღდგენითი (რეაბილიტაციური) მიდგომა ხდებოდა უფრო სასტიკი, ვიდრე სადამსჯელო მიდგომა. მაგრამ სადამსჯელო პოლიტიკის ფორმის შეცვლით მისი ნამდვილი არსის პრობლემა კვლავ რჩებოდა გადაუწყვეტელი.

საკითხთა მეორე ჯგუფი ეხება სასჯელის ეკონომიკურ აქსიოლოგიას. ამ მიმართულებით გაურკვეველია ისეთი კითხვები, როგორებიცაა: **რა ეკონომიკური წინაპირობები აქვს იმ სანქციებისადმი მიმართვას, რომელიც წარმოდგენილია დანაშაულობის შემცირების ხერხის სახით**? ქვეყნის განვითარების რომელ

* დაწვრილებით იხ. Tullock, G., 1980. Does Punishment Deter Crime? The Economics of Crime – Cambridge, N. Y. etc., გვ. 127-136.

4 იხ. Lanier, M. and Henry, S., 1998. Essential Criminology. Boulder, Colorado: Westview Press, გვ. 78-79.

ეკონომიკურ პერიოდშია მომგებიანი სანქციების გამკაცრება ან ლიბერალიზაცია? ამცირებს თუ არა დანაშაულობას სანქციების გამკაცრება ან ლიბერალიზაცია?*

საკითხთა **მესამე ჯგუფს წარმოქმნის ეკონომეტრიის პრობლემატიკა**. მათ შორის ცენტრალური საკითხია სიკვდილით დასჯის, თავისუფლების აღკვეთისა და ალტერნატიული სანქციების ეფექტურობის საკითხი. **განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასჯელის განსხვავებულ ფორმებს შორის ოპტიმალური არჩევანის პრობლემა.** როგორც ინგლისელი მეცნიერი რ. ანდერსონი აღნიშნავს, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, მაგალითად, როგორია ერთი და იმავე დანაშაულისთვის ჯარიმასა და თავისუფლების აღკვეთას შორის არჩევის წესები? თუ დასჯის ორივე ფორმა ალტერნატიულია, წესად უნდა არსებობდეს ისეთი არჩევანის გაკეთება, როდესაც დანაშაულობის ოპტიმალურ დონესთან შედარებით, ყოველ შემთხვევაში, მთლიანი სოციალური დანაკარგი ყველაზე მცირე აღმოჩნდება (total social loss).** რა მოცულობის და როგორი სასჯელები უნდა იქნას დადგენილი სხვადასხვა სახის კანონების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად? ან, როგორ განსხვავებულად ჩამოაყალიბა ეს კითხვა ამერიკელმა ეკონომისტმა გ.ბეკერმა: რამდენი დანაშაული უნდა იყოს აღიარებული დასაშვებად და რამდენი დამნაშავე უნდა დარჩეს დაუსჯელი?***

2.2. სასჯელის ნეოინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია

სასჯელის ნეოინსტიტუციონალური დასაბუთების იდეა დაკავშირებულია ინგლისელი ეკონომისტის რონალდ კოუზის თეორიის გააზრებასთან. როგორც ცნობილია, მისი არგუმენტაცია ხორციელდებოდა ოპერაციონალური ხასიათის მაგალითებზე. მხოლოდ ერთი ბანალური მაგალითით შემოვიფარგლებით. მეცხოველე იყენებს მიწას, სადაც ფერმერი მარცვლეულს კრეფს. პირუტყვი ანადგურებს მეზობელ მიწაზე მოყვანილ ნათესებს და ამით ზიანს აყენებს ფერმერს. შეგიძლიათ შეწყვიტოთ მიწის დამუშავება ან პირუტყვის მოშენება? თუმცა არის სხვა გამოსავალიც: მესაქონლე ანაზღაურებს ფერმერის ზარალს, ფერმერის მოგებისა და მიყენებული ზარალის მიხედვით. რ. კოუზმა ამ დანახარჯებს უწოდა ტრანზაქციული დანახარჯები, ანუ უფლებების გადანაწილების ხარჯები.**** ჩვენ არ შევალთ იმ დეტალურ ეკონომიკურ დასაბუთებაში, რომელიც უკვე ეკონომისტების მიერაა გაკეთებული. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სადამსჯელო პოლიტიკაზე ამ იდეის გავრცელების მცდელობა. ამ თემასთან დაკავშირებით, როგორც აღნიშნავენ, ტრანზაქციული დანახარჯები არის სამართალდამცავი პერსონალის მომზადების, ჩხრეკის, დაკავების, დამნაშავეთა მსჯავრდების, მათი პატიმრობის და ა.შ. დანახარჯები. როგორც დუგლას ნორტი განმარტავს, გადარიცხვის ტრა-

* დაწვრილებით იხ. Winter, H., 2008. The Economics of Crime. Taylor & Francis Books, გვ.11-22.

** დაწვრილებით იხ. Anderson, R., 1976. The Economics of Crime – The Macmillan Press LTD, გვ. 22-25

*** დაწვრილებით იხ. Becker, G., 1974. Crime and Punishment: An Economic Approach, Essays in the Economics of Crime and Punishment, National Bureau of Economic Research, Inc, გვ. 1-54.

**** იხ. Coase, R., 1960. The Problem of Social Cost. Law & Economics, vol. III, გვ. 2, 28.

ნზაქციის ხარჯები ნაწილობრივ არის საბაზრო ხარჯები, როგორებიცაა: იურიდიული მოსაკრებლები, რეაკორის საკომისიო, ტიტულის დაზღვევა, საკრედიტო რბოლები და, ნაწილობრივ, დრო, რომელიც თითოეულმა მხარემ უნდა დაუთმოს ინფორმაციის შეგროვებას, ერთობლივ ძიებას და ა.შ. დანაშაულობის დონის შესახებ, პოლიციის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების შესახებ ინფორმაციის მიღება ბაზრის მონაწილეს ასევე აკისრებს ძიების ხარჯებს.[5]

ერთი შეხედვით აქ საკამათო არაფერია. აშკარაა, რომ დანაშაულთან ბრძოლისთვის უნდა გამოიყოს სახსრები, რომლებიც ძალიან მრავალფეროვანია და ზოგადად ტრანზაქციის დანახარჯებს ქმნიან, რაც, როგორც პერუელი ეკონომისტი ე. დე სოტო წერდა, წარმოადგენს „კანონის შესრულების ფასს“.[6] წმინდა ჰიპოთეტურად შეიძლება შემდეგი მსჯელობა: თუ ეს ტრანზაქციის დანახარჯები აღემატება დანაშაულით მიყენებულ ზარალს, მაშინ ასეთი პრევენციული ზომები უნდა იქნას მიტოვებული და სხვა გზა უნდა ვეძებოთ. ითვლება, რომ სახელმწიფო კრიმინალების დასჯისას დიდ ხარჯებს იხდის. ციხეები უნდა იყოს შენარჩუნებული, კრიმინალთა საკვებისა და საცხოვრებლის ყველა ხარჯი სახელმწიფომ უნდა გაიღოს. ამრიგად, კოუზის თეორემის მიხედვით, სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ დანაშაულთა რაოდენობა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, რათა შენარჩუნდეს ეკონომიკური ეფექტურობა. თუ დანაშაულობის მაჩვენებელი მაღალია, მაშინ სახელმწიფო ვერ ინარჩუნებს ეკონომიკურ ეფექტურობას.* უფრო მეტიც, ეს ასევე ნიშნავს, რომ სასჯელი საკმარისი უნდა იყოს მომავალი დამნაშავეების შესაჩერებლად. თუ სასჯელები არ არის საკმარისად მკაცრი, სისხლის სამართლის კანონის „დაშინების მიზანი“ აზრს კარგავს და დანაშაულობა უკონტროლო ხდება.[7]

თუმცა, რეალურად ჩვენ ვდგავართ პრობლემების წინაშე, რომელთა საიდუმლოც სოციალური პროცესების სიღრმეშია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ნეოინსტიტუციონალური ეკონომიკური თეორია, როგორც ნეოკლასიკური თეორია, არ სცდება გაცვლის პროცესის ფარგლებს. ამ თეორიის თავდაპირველი პრინციპის თანახმად, კაპიტალისტურ საზოგადოებაში სისხლის სამართლის მთავარი ფუნქციაა ხელი შეუშალოს ადამიანებს ნებაყოფლობითი ურთიერთგაცვლის სისტემის გვერდის ავლას, როდესაც გარიგების ხარჯები დაბალია და ბაზარი უფრო მომგებიანია.[8] ყველა მაგალითი აგებულია კონკრეტული ეკონომიკური აგენტების საქმიანობაზე, რომლებიც უშუალოდ შედიან ურთიერთობაში. მაშასადამე, მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მოცემულია იმ ინვერსიული ფორმით, რომელიც მათ ცნობიერებას ზედაპირზე ეჩვენებათ როგორც რეალური. ჩვენს თემასთან დაკავშირებით, ეს ნიშნავს, რომ დანაშაულობა მოქმედებს როგორც ცვლადი, რომელიც

5 North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, გვ. 61.

6 De Soto, H,.1989. The Other Path: the Invisible Revolution in the Third World. New York: Harper & Row Publishers, Inc., გვ.135.

* თუმცა, ამ ვირტუალური ხედვის საპირისპიროდ, სახელმწიფო ვერ ინარჩუნებს ეკონომიკურ ეფექტურობას და ამიტომ დანაშაულობის მაჩვენებელი მაღალია.

7 Kamthan, M., 2013. Rape and Compensation: an Economic Analysis of the Criminal Law on Rape in India. NALSAR Law Review, 7(1), გვ. 40.

8 Posner, R., 1985.An Economic Theory of the Criminal Law. Columbia Law Review, 85 (6), გვ. 1195.

დამოკიდებულია სხვა ცვლადზე – ინსტიტუციურ ცვლილებებზე.[9] ამ ხედვის საფუძველზე „სასჯელის მომსახურების ფასი" დგინდება დანაშაულობის რყევებით. თუ დანაშაულობა შემცირდა, მაშინ სადამსჯელო პოლიტიკის „ფასი" გამართლებულია. თუ ადგილი აქვს საპირისპირო პროცესს, მაშინ, როგორც დ.ნორტი წერს, ინსტიტუტების ფუნქციონირების არსებითი ნაწილია დანაშაულის დადგენის მაღალი ღირებულება და სასჯელის სიმკაცრე.[10]

რა თქმა უნდა, შესაძლებელია მოვიყვანოთ რიცხვითი მაგალითები, რომლებიც აჩვენებენ, რომ დანაშაული იცვლება პოლიციელების რაოდენობის მატებასთან ერთად, სასჯელის სიმკაცრით და ა.შ. მაგრამ ეს ცარიელი მათემატიკური ფორმალიზმია. სინამდვილეში დანაშაულობის რყევების ზღვარი, რომლის იქითაც შეუძლებელია გასვლა, არის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუარესება, როგორც ეკონომიკური განვითარების მომენტი. აღნიშნული მიმართულების ეკონომისტებისთვის ამ უმნიშვნელოვანესი პუნქტის გაუგებრობა დაბრკოლებაა, განსაკუთრებით დანაშაულთან ბრძოლის ოპტიმალური მოდელის შემუშავებისას. ნეონსტიტუციონალისტები ცდილობენ, ააშენონ სასჯელის ოპტიმალური მოდელი, რომელიც ეფუძნება სახელმწიფოს დამოკიდებულებას დანაშაულის მიმართ და იგნორირებას უკეთებენ ისეთ ფაქტორს, როგორიცაა სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გაუცხოებაში. შედეგად, მიჩნეულია, რომ, თუ სამართალდამცავი ღონისძიებების ხარჯები დაკავშირებულია დანაშაულის შემცირებასთან, შესაბამისად, სახელმწიფოს ხარჯები უტოლდება მიღწეულ სარგებელს და, შესაბამისად, შემუშავებულია სამართალდამცავი მოქმედების ოპტიმალური მოდელი. თუ დანაშაულობა განაგრძობს ზრდას, მაშინ ასეთი მოდელის ოპტიმალურობა მიღწეული არ არის.[11] თუმცა, აქ არ ითვალისწინებენ იმ ფაქტს, რომ სამართალდამცავი საქმიანობის დანახარჯის ეფექტიანობის ზღვარი დანაშაულთა მერყეობით ვერ განისაზღვრება. გაცვლით ურთიერთობებში სადამსჯელო პოლიტიკა მოჩანს არა როგორც ცხოვრების პირობების გაუარესების შენარჩუნების საშუალება, რომელიც აუცილებელია მოგების ნორმის შემცირების შეჩერებისათვის, არამედ, როგორც ამ პირობების შედეგად წარმოშობილი დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალება. შესაბამისად, ნეოინსტიტუციონალური თეორია ვერ ხედავს, რომ ცხოვრების პირობებისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება ეკონომიკური განვითარების მოთხოვნილებების საზღვრებით. ამ კანონზომიერებას ემორჩილება სადამსჯელო პოლიტიკაც. მაგრამ ეს დამორჩილება ზედაპირზე ვლინდება გარდასახვითი ფორმის სახით: სახელმწიფო ებრძვის დამნაშავეს როგორც საზოგადოებისადმი გაუცხოებულ პირს. სინამდვილეში დანაშაულობისადმი დამოკიდებულება განისაზღვრება იმ გაუცხოების შენარჩუნების მიზნით, რომელშიც მონაწილეობს თავად სახელმწიფო. ამიტომ ზედაპირზე სახელმწიფოს ეფექტი იზომება დანაშაულობის შემცირებით, სინამდვილეში კი ეს უკუღმართი პროცესი იზომება იმ არსებობის პირობების შემცირებით, რომ-

9 Dick, A., 1995. When Does Organized Crime Pay? A Transaction Cost Analysis. International Review of Law and Economics, 15, გვ. 39.

10 North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, გვ. 4.

11 Stigler, G., 1974. The Optimum Enforcement of Laws – Essays in the Economics of Crime and Punishment (Editor: Gary, S. Becker and William, M. Landes, eds). Publisher: NBER, გვ. 62.

ლებიც ხელს უწყობენ გაუცხოებას. როგორც დავინახავთ, რ. კოუზის კონცეფციის ანალიზის შედეგად, მიკროეკონომიკის საზღვრებში აღნიშნულ პროცესს ვერ დავადგენთ. მითუმეტეს, ვერ დავინახავთ, რომ გაცვლის პროცესში მიზეზი და შედეგი არეულია.*

კოუზის თეორემა ამტკიცებს, რომ ცალკეულ ეკონომიკურ აგენტებს აქვთ უნარი დამოუკიდებლად გადაჭრას გარე ფაქტორებთან დაკავშირებული პრობლემა. როგორიც არ უნდა იყოს უფლებების საწყისი განაწილება, დაინტერესებულ მხარეებს ყოველთვის შეუძლიათ დადონ ორმხრივად მომგებიანი გარიგება და მიაღწიონ ეფექტურ შედეგს. თუმცა, ძნელია იმ ფაქტს გვერდი ავუაროთ, რომ ტრანზაქციული დანახარჯები წარმოების კანონზომიერების გარეშე არ შეიძლება იყოს მოცემული, რადგან ისინი წარმოების ხარჯ-ფასის ნაწილს წარმოადგენენ. როგორც დ. ნორტი წერს, წარმოების ხარჯფასი არის ტრანსფორმაციისა და ტრანზაქციის დანახარჯების ჯამი.[12] მაგრამ ამ შემთხვევაში ძალაში შედის სხვა სახის კანონზომიერებები, რომლებიც არ ჩანან გაცვლითი ურთიერთობების ზედაპირზე. თუ ტრანზაქციის დანახარჯები არის წარმოების ხარჯფასის ნაწილი, მაშინ ამ უკანასკნელის ოდენობა საბოლოოდ განისაზღვრება მოგების საშუალო ნორმის რყევებით, რაც გადაანაწილებს ამ დანახარჯებსაც. ამრიგად, ცალკეული მეწარმე განსაზღვრავს თავის დანახარჯებს მხოლოდ დაახლოებით. დანაშაულობის ზრდაში ან სასჯელის გამკაცრებაში მოგების საშუალო ნორმის „ბოროტი“ როლის შესახებ ინფორმაციას მეწარმე იგებს უკანა რიცხვით.

რ. კოუზს თავის თეორიაში მეწარმეების წარმატების მთელი ტვირთი გადააქვს ტრანზაქციის დანახარჯების მინიმიზაციაზე. მას ავიწყდება, რომ ინდივიდუალური მეწარმე საბოლოოდ აყალიბებს მოგების ნორმას არა ცალკეული სახის ინდივიდუალური დანახარჯების მიხედვით, არამედ ნებსით თუ უნებლიეთ ქვეყნის მთელი კაპიტალის დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯებში ასევე შედის საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც მან უნდა შეასრულოს სახელმწიფოს წინაშე. დანაშაულის აღკვეთის პოლიტიკის, მათ შორის სასჯელების აღსრულების, ხარჯები ასევე ქმნიან კონკრეტული მეწარმის ხარჯებს. თუმცა, თუ არ შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე მეწარმის ურთიერთკავშირით და განვიხილავთ სადამსჯელო პოლიტიკის პრობლემას მთლიანი კაპიტალის დონეზე, მაშინ წარმოიშობა კითხვა: როგორ აისახება მთლიანი კაპიტალით ტრანზაქციული დანახარჯები წარმოების ხარჯფასში და, შესაბამისად, როგორ განაპირობებს ეს პროცესი დასჯის პოლიტიკას? ეს კითხვა კოუზის თეორიიდან ამოვარდნილია. ის მხოლოდ იმ დათქმით შემოიფარგლება, რომ სახელმწიფო განსაკუთრებულ შემთხვევებში მიმართავს სასჯელებს იმ პირებზე ზემოქმედების მიზნით, რომლებიც ჩაიდენენ ე.წ. ოპორტუნისტულ ქცევას. როგორი ეკონომიკური კანონზომიერებით ინდივიდუალური მეწარმეების ტრანზაქციულმა დანახარჯებმა უნდა იქონიონ გავლენა დასჯის პოლიტიკაზე? – არის კითხვა, რომელიც სცილდება კოუზის კონცეფციას. ამ კითხვაზე გაცვლის სფერო არ პასუხობს. სწორედ „ტრანზაქციის დანახარჯების“ კონცეფციის ეს ხარვეზი მიჰყავს

* ამ გარდასხვას ვერ ხედავს იურისტიც, რადგან მისთვის რეგულარული თანმიდევრობის ფორმები (ეკვივალენტურობის, რელევანტობის, ადეკვატურობის და სხვ.) გაიგივებულია მიზეზობრივ კავშირთან.

12 North, D,.1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, გვ.28.

ზოგიერთი ეკონომისტი დასკვნამდე, რომ ეს კონცეფცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ შემთხვევების გარკვეული სპექტრის მიმართ.[13] გამოდის, რომ სასჯელის დასაბუთების საკითხი ინდუქციურია და, შესაბამისად, კვლავ ჰაერშია ჩამოკიდებული.

იმავდროულად, ტრანზაქციის დანახარჯების გავლენის საკითხი ძალზე მნიშვნელოვანია სასჯელის ბუნების გასაგებად, მაგრამ მისი გადაწყვეტა სხვა მექანიზმით ხორციელდება. სახელმწიფოს ზომები მართლაც ქმნიან ტრანზაქციის დანახარჯების სფეროს, მაგრამ ქვეყნის მთლიანი კაპიტალის ხარჯფასის ზეგავლენით. აქედან გამომდინარე, სადამსჯელო_პოლიტიკის ზედა ზღვარი არის მოგების საერთო ნორმის მაჩვენებელი. რადგან დანახარჯების ზომა ფარდობითია, ე.ი. მოცემულია ქვეყნის ყველა სექტორის შემოსავალთან მიმართებაში, მაშინ სადამსჯელო პოლიტიკაზე გამოყოფილი ხარჯების მოთხოვნილება განისაზღვრება სწორედ საზოგადოებრივი კაპიტალის მდგომარეობით და არა დანაშაულობის ტენდენციის თავისებურებით. ასე რომ, თუ ჩვენ ვსაუბრობთ ტრანზაქციულ დანახარჯებზე, მაშინ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ხარჯები, რომლებსაც გამოყოფს მთლიანი კაპიტალი მართლწესრიგის შესანარჩუნებლად. ამ ხარჯების ზომა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები, მაგრამ მხოლოდ ინდივიდუალური მეწარმისთვის, რომელიც ხარჯების რყევების მიზეზს ბაზრის სტიქიის ფარგლებში ხედავს და, შესაბამისად, სრულად ვერ აცნობიერებს მათ რეალურ ბუნებას. სინამდვილეში კი, დანაშაულის შეკავებაზე სახელმწიფო დანახარჯების ზომა დამოკიდებულია მოგების საერთო ნორმის დონისაგან. ამიტომ ლ. ფილიპსი, ჰ. ვოტი ცდებიან, როცა წერენ, რომ დანაშაულთან ბრძოლის ხარჯების გაზრდით შესაძლებელია დანაშაულის უფრო დაბალი დონის მიღწევა, რაც გამოიწვევს საზოგადოების მთლიანი ხარჯების ზრდას.* დანაშაულთან ბრძოლის დანახარჯებმა შეიძლება „ხელი შეუწყოს“ საზოგადოების მთლიანი ხარჯების ზრდას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოგების საერთო ნორმა შემცირდება და მასთან მიმართებაში საწარმოო ხარჯები გაიზრდება. მარტო ამ ფონზე შეიძლება შეფასდეს დანაშაულთან ბრძოლის ხარჯების მერყეობის ტენდენცია. მეორე მხრივ, ლ. ფილიპსი, ჰ. ვოტი ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს, როდესაც თვლიან, რომ დანაშაულის კონტროლის სამი ინსტრუმენტი არსებობს: სისხლის სამართლის რესურსები, სასჯელის სიმძიმე და სოციალური პროგრამები.** კაპიტალისტურ საზოგადოებაში სოციალურ პროგრამებზე გაწეული ხარჯები, უპირველეს ყოვლისა, არის საჭირო შრომის ბაზრის ნორმალიზების ხარჯების გაზრდა. ხარჯების სფერო ასევე მოიცავს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სადამსჯელო პოლიტიკაზე გამოყოფილ რესურსებს. ამ შემთხვევაში ლ. ფილიპსი და ჰ. ვოტი ითვალისწინებენ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხარჯებსა და სოციალური პროგრამების ხარჯებს შორის კავშირს, რომლითაც უარყოფენ მათ მიერ გაზიარებულ ძირითად თეზისს.

„ტრანზაქციის დანახარჯების“ თეორია პრობლემას მაკროეკონომიკის სფეროდან მიკროეკონომიკის სფეროში გადააქვს. დასჯის პოლიტიკისთვის ამ მიდგომას აქვს ძალიან სავალალო შედეგები, რადგან ის არგუმენტების ძიებას აქცევს ცალკეულ ფირმებს შორის ურთიერთობების ფარგლებში. ეკონომიკის ამ

13 Fletcher, G., 1985. A Transaction Theory of Crime? 85 COLUM. L. REV. 921, გვ. 924-925.
* Phillips, L. and Votey, H., 1981. The Economics of Crime Control. Beverly Hills etc., გვ. 24-33.
** იქვე.

Email: info@heraldoflaw.com

ჭრილში სადამსჯელო პოლიტიკის ობიექტური სინამდვილე ვერ გამოჩნდება, რადგან ბაზრის ცალკეულ მონაწილეს შეუძლია საკანონმდებლო ინიციატივების ლობირება ან შეთავაზება მათი ბაზრისადმი ვიწრო ინტერესების დაქვემდებარების გამო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ შეუძლიათ შემოიფარგლონ მხოლოდ მათთვის ხელმისაწვდომი ადგილობრივი ინფორმაციით, რომელიც, მათი აზრით, შესაძლებელია დანახარჯების შემცირებისათვის. ამ შემთხვევაში ზომების სიმძიმის, დასჯის ფორმების არჩევის, ძალოვანი სტრუქტურების დანახარჯების და ა.შ. არგუმენტაცია შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგოა გაცვლის პროცესში და წინააღმდეგობრივად ასახავს მოგების საერთო ნორმის გავლენის პროცესს. მთავარი კითხვაა: როგორ შეიძლება გავითვალისწინოთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონე სადამსჯელო პოლიტიკის განსაზღვრისას? – სცილდება კანონმდებლის შესაძლებლობებს. სადამსჯელო პოლიტიკის გააზრება გადატვირთულია კერძო პრობლემებით, რომლებსაც საერთო არაფერი აქვს საზოგადოების ფუნდამენტურ საჭიროებებთან.*

დასკვნის სახით, შეიძლება აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით დანაშაულობის მერყეობა არ არის დამოკიდებული სახელმწიფო რეაქციის გაძლიერებაზე ან შესუსტებაზე, ვინაიდან დანაშაულობა სრულიად განსხვავებული კანონზომიერებით არსებობს. სანამ დანაშაულობა სახელმწიფო რეაქციის ობიექტი გახდება, მან უნდა იმ გაუცხოების პროცესებზე რეაქციის ფორმა მიიღოს, რომელშიც სახელმწიფო მონაწილეობს. მეორე მხრივ, სახელმწიფო რეაგირებს დანაშაულობაზე არა იმიტომ, რომ დანაშაულობა არის „საშიში" ან „არასაშიში", არამედ იმიტომ, რომ წარმოადგენს ეკონომიკაში მოგების ზრდის მნიშვნელოვან საშუალებას. მთლიანი კაპიტალი განსაზღვრავს ტრანზაქციული დანახარჯების პარამეტრებს და არა ცალკეულ მეწარმეთა მიერ განსაზღვრული დანახარჯები და მათ შორის ინდივიდუალი მეწარმის მიერ მართლწესრიგისათვის გაწეული ხარჯები; ამ სიღრმისეულ პროცესში სახელმწიფოს დამოკიდებულება დანაშაულობისადმი არის მარტო ეკონომიკის განვითარების მომენტი.

3. რა ახალი შეიძლება გავიგოთ პრობლემის შესწავლისას

მოგების საშუალო ნორმის დაცემა ასტიმულირებს მითვისების არაეკონომიკური მეთოდების აღორძინებას და ამის შემდეგ – სადამსჯელო ზომების გამკაცრებას. შესაბამისად, დანაშაულობის რყევებისაგან დამოუკიდებლად იზრდება პატიმართა რაოდენობა. ამავე მიმართუ-

* ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარები ტრანზაქციული დანახარჯების პრობლემას პირდაპირ უკავშირებენ არალეგალური ეკონომიკის ზრდას, რაც ძირეულად მცდარია (იხ.: Feige, E., 1997. Underground Activity and Institutional Change: Productive, Protective, and Predatory Behavior in Transition Economies – Transforming Post-Communist Political Economies. NATIONAL ACADEMY PRESS. Washington, D. C., გვ. 21-34). გარეგნულად ჩანს, რომ არალეგალურ ეკონომიკას მიმართავენ ტრანზაქციული დანახარჯების შესამცირებლად. თუმცა, მეწარმეებს შეუძლიათ მიმართონ არალეგალურ ეკონომიკას ამ დანახარჯების პრობლემის გარეშეც. აქ მოქმედებს მოგების ზოგადი ნორმის სტრუქტურული ცვლილების კანონები, რომლებიც ჩვეულებრივ იგნორირებულია.

ლებით ვითარდება პატიმართა რაოდენობის ზრდის მოთხოვნილება: წარმოიშობა ე.წ. სუროგატული ბიზნესი იმ ინდუსტრიის ზრდის სახით, რომელიც ემსახურება პენიტენციური სისტემების საჭიროებებს.* ამავდროულად, იზრდება მოჩვენებითი ინსტიტუციური რეფორმების ტენდენცია, რომელიც, განურჩევლად საზოგადოების საჭიროებისა, მიმართულია სახელმწიფო დაწესებულებების პერსონალის გაზრდაზე, მათი ხელფასის გაძვირებისკენ და ა.შ. ეს ყველაფერი აძლიერებს ვირტუალურ ხედვას, რომ დანაშაული სასჯელის საფუძველია.** როგორც ჩანს, სახელმწიფოს სადამსჯელო პოლიტიკის რეალური საფუძველია საზოგადოებაში გაბატონებული მითვისების მეთოდი.

მაგრამ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში (მაგ., აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში) მისი ზეგავლენა სადამსჯელო პოლიტიკის აღქმაზე თავისებურია. ამ პირობებში სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი – მოგების ნორმა – თავის პროცესებში ფეტიშირებულად ამტკიცებს, რომ საზოგადოების გამდიდრება და მოგების ზრდა ხორციელდება სტიქიურად და არ არის მიბმული ეკონომიკურ კანონებთან, არამედ დამოკიდებულია სხვადასხვა სახის მოვლენებზე: ბაზრის მდგომარეობაზე, ბიზნესმენის ოსტატურობაზე, მოსამსახურე პერსონალის სიმარჯვეზე, მომუშავეთა პროფესიონალიზმზე და ა.შ. ამგვარად, სახელმწიფოს წინაშე საზოგადოება წარმოდგენილია როგორც განსხვავებული მოვლენების მოზაიკა, რომლებსაც გააჩნიათ მათი კონკრეტული მიზეზები. ასეთ ევოლუციურ სამყაროში სასჯელის მიზეზი არა ინდივიდში, არამედ როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ ცალკეულ სოციალურ პროცესებში უნდა იქნას დანახული. ყოველი სოციალური მოვლენა განიხილება როგორც თანასწორუფლებიანი, ასე ვთქვათ,ერთ თაროზე განლაგებული. ცხოვრების ყოველი გამოვლინება შეიძლება იყოს სხვა სახის გამოვლინების უარყოფა, არაფერი არ „ილახება“, არამედ თანაარსებობს. ამ ყოველდღიურ ურთიერთობაში ჩართულ ინდივიდს ექმნება შთაბეჭდილება, რომ სასჯელი არაა დაკავშირებული კაპიტალისტური სისტემის ეკონომიკის რაღაც მექანიზმებით. ამ პირობებში დანაშაულობის სოციალურ დასაბუთებას უკავია ისეთივე მნიშვნელოვანი როლი, როგორიც სასჯელის სახელმწიფიებრივ ხედვას. ამიტომ უშვებენ სასჯელის რეალურ და ვირტუალური სამყაროების თანაბარ არსებობას. როგორც ეჩვენებათ, საზოგადოება როგორც სასჯელის საფუძველი, ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფოს მიერ დანახული ფეტიშირებული საფუძველი – დამნაშავის პიროვნება და მისი ქმედება. ამიტომ, რაც უფრო ძლირდება მოგების ნორმის დაცემის ტენდენცია, მით უფრო ფეხს იკიდებს სასჯელის ეს გაორებული აღქმა. შემთხვევითი არ

* 70-იანი წლებიდან შეერთებულ შტატებში იწკებს კლებას მოგების ნორმა, ხოლო 1974-1975 წლებში მისი მკვეთრი კლება შეინიშნება. სწორედ ამ წლებში დაიწყო პატიმართა რიცხვის ზრდა. მოგების ნორმის კლების ეს ტენდენცია გრძელდება 1980-1982 წლებში (Roberts, M., 2012. The Rate of Profit is the Key. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://thenextrecession. wordpress.com/2012/07/26/the-rate-of-profit-is-key/)>. [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022]. ამ პერიოდში 1983 წელს გამოჩნდა მსოფლიოში პირველი კერძო ციხის კომპანია (Corrections Corporation of America The Growth of Incarceration in the United States: Exploring Causes and Consequences (Travis, J., Western, B., and Redburn, S., Editors), 2014. National Academies Press, გვ. 33-44).

** Lynch, M., W., Groves and Lizotte, A., 1994. The rate of surplus value and crime. A theoretical and empirical examination of Marxian economic theory and criminology. Crime, Law & Social Change, 21, გვ. 15-48.

არის, რომ ამ პირობებში არსებობს არა მხოლოდ ნეოკლასიკური მიდგომა სადამსჯელო პოლიტიკისადმი, რომელიც სასჯელს ასაბუთებს ინდივიდუალური პრეფერენციებით, არამედ ემპირიულ-სოციოლოგიური მიდგომაც, რომელიც ცდილობს ამ პოლიტიკის დასაბუთების პოვნას საზოგადოებაში. ასე 1986 წელს გერმანიის 56-ე იურიდიული კონფერენციის გახსნაზე გერმანიის ფედერალურმა პრეზიდენტმა რიჩარდ ფონ ვაიცსაკერმა თავის გამოსვლაში უარყო კანონის განმსაზღვრელი როლი. როგორც მან აღნიშნა: „კანონს შეუძლია მოქალაქის მორალური და სულიერი ცნობიერების გაძლიერება, მაგრამ არა ჩამოყალიბება. კანონს შეუძლია ხელი შეუწყოს კონსენსუსის ჩამოყალიბებას და არა მის შეცვლას."[14]

კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების პირობებში (მაგ: საქართველოში) კი ამ ფეტიშირებული ხედვის საფუძველია ეკონომიკის განუვითარებლობა. ამ პირობებში საზოგადოება გაუგებარი ფენომენია და ამიტომ სასჯელის დასაბუთება წყდება საზოგადოებას მოწყვეტილ სახელმწიფოს ფარგლებში და ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პირობებში დომინირებენ მითვისების არაეკონომიკური საშუალებები. სწორედ ამ საშუალებების გაბატონების პერიოდში საქართველოში დასჯა ეტატიკურად* აღიქმება. სასჯელის სიმძიმის ან ლიბერალურობის ცვლილება განიხილება არა საზოგადოებაში პირობების გაუარესების ცვლილების ჭრილში, არამედ სახელმწიფოს შესაძლებლობების ცვლილებასთან დაკავშირებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასჯელის საფუძველს ისინი მხოლოდ იმ პირების მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაში ხედავენ, რომლებიც თავიანთი დანაშაულით გამოხატავენ მხოლოდ რეაქციას გაუცხოების ზრდაზე.** ამასთან, ინტერესის მიღმა რჩება გაუცხოების ღრმა პროცესები და მათში სახელმწიფოს როლი და ადგილი.

როგორც ცნობილია, დანაშაულთა შემადგენლობებში, სადაც ეს შესაძლებელი იყო, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ნორმებში ბუნდოვანი ელემენტები იყო შემოტანილი, რათა სამართალდამცავ ორგანოებს მიეცათ საშუალება, თვითნებურად განემარტათ კანონი. მრავალი იურიდიული ნორმა აიძულებდა სასამართლოებს, თვითნებურად დაეკვალიფიცირებინათ ქმედებები დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველზე, ე.ი. გაეფართოვებინათ სანქციების არეალი. რეციდივის და დანაშაულთა განმეორების ინსტიტუტები აბსურდულ იდენტიფიკაციამდე მივიდა სასჯელის გამკაცრების იმავე მიზეზის გამო. სისხლის სამართლის კოდექსის ნორმები

14 Ansprache von Bundespräsident Richard von Weizsäcker bei der Eröffnung des 56. Deutschen Juristentages, 1986. Siehe Rezension unter: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bundespraesident.de/SharedDocs/Reden/DE/Richard-vonWeizsaecker/Reden/1986/09/19860909_Rede.html 1.> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].

* ეტატიზმი (ფრანგ. état «სახელმწიფოებრივი»).

** გაუცხოებას კრიმინოლოგიაში ეწოდება ცხოვრების პირობების გაუარესება, რომლის მიზეზი პირისათვის უცხო ხდება. საზოგადოებაც მისთვის უცხოა, რადგან კანონის დარღვევის გარდა საზოგადოებაში ის ვერ პოულობს ცხოვრების პირობების გაუარესების დაძლევის სხვა გზას. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა განსაზღვრავს ცხოვრების ისეთ დონეს, რომელიც მოსახლეობის ნაწილს არ უტოვებს არსებობის შანს. პენსიონერზე, უმუშევარზე და მის ოჯახზე, დაბალხელფასიან მუშაკზე და ა.შ. არავინ ზრუნავს. თავის ეკონომიკურ პოლიტიკაში ეს გულგრილობა წარმოდგენილია როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური როლი გაუცხოებაში.

დაიყო მრავალ კვალიფიციურ შემადგენლობად მათი განაწილების ყოველგვარი კრიტერიუმის გარეშე. დაინერგა საპროცესო შეთანხმების დასახიჩრებული ვერსია, რომელიც მოსამართლეებს „ხელზე ურტყამდა“, თუ ისინი ცდილობდნენ დამნაშავის ქმედებაში შემამსუბუქებელი გარემოებების დანახვას. აღდგენითი (სარეაბილიტაციო) მიდგომის ფარგლებში დამნაშავის მანკიერება ეჭვქვეშ არ უნდა დამდგარიყო, მხოლოდ ინდივიდში კიდევ უფრო მანკიერი ნიშნების გამოვლენა იყო შესაძლებელი. ამ მიმართულებით სასამართლოებს ხელი ეხსნებოდათ. ამრიგად, საქართველოს სამართლებრივი სისტემა შიგნიდან იყო აფეთქებული. შედეგად, 2003-2013 წლებში რომაულ-გერმანული სამართლის პრინციპების ფარული განადგურების „რეფორმამ“ საბოლოო სახე მიიღო პატიმართა მზარდ რაოდენობაში.* თუმცა მომდევნო წლებში პატიმართა რაოდენობის შემცირების ფონზე ფეხს იკიდებს ადამიანის ეჭვმიტანილის სახით დაკავების ბუნდოვანი ნორმატიული რეგულირება.** მოკლედ, არაეკონომიკური იძულება ინარჩუნებს თავის ბატონობას მოსახლეობის გაუბედურების ერთი ფორმის სხვა ფორმის ჩანაცვლების გზით. შესაბამისად, ეს დამოკიდებულება დანაშაულობისადმი იარსებებს საქართველოში იქამდე, სანამ არ იქნება დაძლეული სახელმწიფოს არაეკონომიკური როლი ხალხის გაუბედურებაში, სანამ სასჯელის საფუძველი არ მოიძებნება არა ინდივიდში, არამედ მისი ცხოვრების პირობებში და, შესაბამისად, არ დაისახება მოსახლეობის ისეთი ეკონომიკირი არეალის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს გაუცხოების შემცირებას. ცივილიზებული საზოგადოებისთვის სასჯელის სოციალური საზომი მდგომარეობს არა სახელმწიფოს დამოკიდებულაში დანაშაულობისადმი, არამედ მოსახლეობის ცხოვრების პირობებში და სწორედ სამართლის ეკონომიკა გვისხნის ამ საიდუმლოს.

* თოდრია, გ., 2020. კრიმინოლოგიური შემეცნების პრობლემები. მერიდიანი, გვ. 404-409.

** ამ საკითხის შესახებ იხ.: გამყრელიძე, ო. 2020. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ერთი გადაწყვეტილების გამო: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/othar-gamqhrelidze-gv.122-130.pdf> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, ო., 2020, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის ერთი გადაწყვეტილების გამო. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/othar-gamqhrelidze-gv.122-130.pdf> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].
2. თოდრია, გ., 2020. კრიმინოლოგიური შემცნების პრობლემები, თბილისი: მერიდიანი.
3. Anderson, R., 1976. The Economics of Crime – The Macmillan Press LTD.
4. Ansprache von Bundespräsident Richard von Weizsäcker bei der Eröffnung des

56. Deutschen Juristentages, 1986, See review at: [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.bundespraesident,de/SharedDocs/Reden/DE/Richard-vonWeizsaecker/Reden/1986/09/19860909_Rede.html> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].
5. Albrecht, H., 2013. Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing. Law and Contemporary Problems, გვ. 211-236.
6. Becker, G., 1974. Crime and Punishment: An Economic Approach , Essays in the Economics of Crime and Punishment. National Bureau of Economic Research, Inc, გვ 1-54.
7. Coase, R., 1960. The Problem of Social Cost. Law & Economics, Vol. III.
8. Burkhardt, B. and Connor, B., 2015. Durkheim, Privatization, Private Prisons, Punishment, Social Currents 3 (1), OSU, გვ. 1-25.
9. De Soto, H., 1989. The Other Path: the Invisible Revolution in the Third World. New York: Harper & Row Publishers, Inc.
10. Dick, A., 1995. When Does Organized Crime Pay? A Transaction Cost Analysis. International Review of Law and Economics 15.
11. Durkheim, É., 2013. The Rules of Sociological Method and Selected Texts on Sociology and its Method. Second Edition, გვ. 45-46.
12. Enns, P. and Ramirez, M., 2018. Privatizing Punishment: Testing Theories of Public Support for Private Prison and Immigration Detention Facilities. Criminology, 56 (3), გვ. 546-573.
13. Feige, E,.1997. Underground Activity and Institutional Change: Productive, Protective, and Predatory Behavior in Transition Economies – Transforming Post-Communist Political Economies, NAP, Washington, D.C., გვ. 21-34.
14. Fielding, N., A. Clarke and R. Witt, 2000. An Introduction to the Economic Dimensions of Crime and Punishment, The Economic Dimensions of Crime, Macmillan Press Lt, გვ. 1-15.
15. Fletcher, G., 1985. A Transaction Theory of Crime?, 85 COLUM. L. REV. 921, გვ. 924-925.
16. Hegel, G., 2001. Philosophy of Righ (Translated by S.W Dyde), Batoche Books Limited.
17. Kamthan, M., 2013. Rape and Compensation: an Economic Analysis of the Criminal Law on Rape in India. NALSAR Law Review, 7(1).
18. Lanier, M. and Henry, S., 1998. Essential Criminology. Boulder, Colorado: Westview Press.
19. Lynch, M., W. Groves and Lizotte, A., 1994. The Rate of Surplus Value and Crime. A Theoretical and Empirical Examination of Marxian Economic Theory and Criminology. Crime, Law & Social Change, 21, გვ.15-48.
20. North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press.
21. Phillips, L. and Votey, H., 1981. The Economics of Crime Control. Beverly Hills etc., გვ. 24-33.
22. Posner, R., 1985. An Economic Theory of the Criminal Law, Columbia Law Review, 85 (6), გვ. 1195.
23. Roberts, M., 2012. The Rate of Profit is the Key. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://thenextrecession. wordpress.com/2012/07/26/the-rate-of-profit-is-key/> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].
24. Rubin, P.,"Law and Economics" in the Library of Economics and Liberty. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.econlib.org/library/Enc/LawandEconomics.html> [წვდომის თარიღი 25 ნოემბერი 2022].
25. Rubin, P., 1980. The Economics of Ccrime – The Economics of Crime. N.Y.,გვ. 13-26.
26. Stigler, G.,1974. The Optimum Enforcement of Laws, Essays in the Economics of Crime and Punishment. National Bureau of Economic Research, Inc, გვ. 55-67.
27. The Growth of Incarceration in the United States: Exploring Causes and Consequences (Travis, J., Western, B. and Redburn, S., Editors). 2014. National Academies Press.
28. Tullock, G., 1980. Does Punishment Deter Crime?, The Economics of Crime. Cambridge, N. Y. etc., გვ. 127-136.
29. Western, T. and Redburn, S., 2014. The Growth of Incarceration in the United States, Exploring Causes and Consequences. Committee on Causes and Consequences of High Rates of Incarceration. Washington, D.C.
30. Winter, H., 2008. The Economics of Crime. Taylor & Francis Books.

Bibliography:

Used Literature:

1. Gamkrelidze, O., 2020. Due to one Decision of Second Board of Constitutional Court of Georgia See [Online] available at: <https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/other-gamqhrelidze-gv.122-130.pdf> [Accessed 25 November 2022]. (in Georgian)
2. Todria G., 2020. Problems of Criminology Awareness, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Anderson, R., 1976. The Economics of Crime – The Macmillan Press LTD. (in English)
4. Ansprache von Bundespräsident Richard von Weizsäcker bei der Eröffnung des 56. Deutschen Juristentages, 1986. [Online] available at: <https://www.bundespraesident,de/SharedDocs/Reden/DE/RichardvonWeizsaecker/Reden/1986/09/19860909 _Rede.html> [Accessed 25 November 2022]. (in German)
5. Albrecht, H., 2013. Sentencing in Germany – Explaining Long Term Stability in the Structure of Criminal Sanctions and Sentencing. Law and Contemporary Problems, pp. 211-236. (in English)
6. Becker, G., 1974. Crime and Punishment: An Economic Approach, Essays in the Economics of Crime and Punishment. National Bureau of Economic Research, Inc, pp. 1-54. (in English)
7. Coase, R., 1960. The Problem of Social Cost. Law & Economics, Vol. III. (in English)
8. Burkhardt, B. and Connor, B., 2015. Durkheim, Privatization, Private Prisons, Punishment. Social Currents 3 (1), OSU, p. 1-25. (in English)
9. De Soto, H., 1989. The Other Path: the Invisible Revolution in the Third World. New York: Harper & Row Publishers, Inc. (in English)
10. Dick, A., 1995. When Does Organized Crime Pay? A Transaction Cost Analysis. International Review of Law and Economics 15. (in English)
11. Durkheim, É., 2013. The Rules of Sociological Method and Selected Texts on Sociology and its Method. second edition, p. 45-46. (in English)
12. Enns, P. and Ramirez, M. 2018. Privatizing Punishment: Testing Theories of Public Support for Private Prison and Immigration Detention fFcilities. Criminology, 56 (3), p. 546-573. (in English)
13. Feige, E,.1997. Underground Activity and Institutional Change: Productive, Protective, and Predatory Behavior in Transition Economies – Transforming Post-Communist Political Economies, NAP, Washington, D.C., pp. 21-34. (in English)
14. Fielding, N., Clarke, A. and Witt, R., 2000. An Introduction to the Economic Dimensions of Crime and Punishment. The Economic Dimensions of Crime, Macmillan Press Lt, p. 1-15. (in English)
15. Fletcher, G., 1985. A Transaction Theory of Crime?, 85 COLUM. L. REV. 921, p. 924-925. (in English)
16. Hegel, G., 2001. Philosophy of Righ (Translated by S.W Dyde). Batoche Books Limited. (in English)
17. Kamthan, M., 2013. Rape and Compensation: an Economic Analysis of the Criminal Law on Rape in India. NALSAR Law Review, 7(1). (in English)
18. Lanier, M. and Henry, S. 1998. Essential Criminology. Boulder, Colorado: Westview Press. (in English)
19. Lynch, M., W. Groves and Lizotte, A., 1994. The Rate of Surplus Value and Crime. A Theoretical and Empirical Examination of Marxian Economic Theory and Criminology. Crime, Law & Social Change, № 21, pp. 15-48. (in English)
20. North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press. (in English)
21. Phillips, L. and Votey, H., 1981. The Economics of Crime Control. Beverly Hills etc., pp. 24-33. (in English)
22. Posner, R., 1985. An Economic Theory of the Criminal Law. Columbia Law Review, 85 6), p. 1195. (in English)
23. Roberts, M., 2012. The Rate of Profit is the Key. [Online] available at: <https://thenextrecession. wordpress.com/2012/07/26/the-rate-of-profit-is-key/> [Accessed 25 November 2022]. (in English)
24. Rubin, P.,"Law and Economics" in the Library of Economics and Liberty. [Online] available at: <https://www.econlib.org/library/Enc/LawandEconomics.html> [Accessed 25 November 2022]. (in English)
25. Rubin, P., 1980. The Economics of Crime – The Economics of Crime. N.Y., pp. 13-26. (in English)
26. Stigler, G., 1974. The Optimum Enforcement of Laws, Essays in the Economics of Crime and

Punishment. National Bureau of Economic Research, Inc, pp. 55-67. (in English)
27. The Growth of Incarceration in the United States: Exploring Causes and Consequences (Travis, J., Western, B. and Redburn, S., Editors). 2014. National Academies Press. (in English)
28. Tullock, G., 1980. Does Punishment Deter Crime?, The Economics of Crime. Cambridge: N. Y. etc., pp. 127-136. (in English)
29. Western, T. and Redburn., S. 2014. The Growth of Incarceration in the United States, Exploring Causes and Consequences. Committee on Causes and Consequences of High Rates of Incarceration. Washington, D.C. (in English)
30. Winter, H., 2008. The Economics of Crime. Taylor & Francis Books. (in English)

References:

1. Durkheim, É., 2013. The Rules of Sociological Method and Selected Texts on Sociology and its Method. Second Edition, pp. 45-46. (in English)
2. Hegel, G., 2001. Philosophy of Righ (Translated by S.W Dyde). Batoche Books Limited, pp. 93-94. (in English)
3. Ibid. p. 89.
4. See, Lanier, M. and Henry, S., 1998. Essential Criminology. Boulder, Colorado: Westview Press, pp. 78-79. (in English)
5. North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, p. 61. (in English)
6. De Soto, H,.1989. The Other Path: the Invisible Revolution in the Third World. New York: Harper & Row Publishers, Inc., p. 135. (in English)
7. Kamthan, M., 2013. Rape and Compensation: an Economic Analysis of the Criminal Law on Rape in India. NALSAR Law Review, 7(1), p. 40. (in English)
8. Posner, R., 1985.An Economic Theory of the Criminal Law. Columbia Law Review, 85 (6), pp. 1195. (in English)
9. Dick, A., 1995. When Does Organized Crime Pay? A Transaction Cost Analysis. International Review of Law and Economics, 15, p. 39. (in English)
10. North, D., 1990. Institutions, Institutional Change and Economic Performanc. Cambridge University Press, p. 4. (in English)
11. Stigler, G., 1974. The Optimum Enforcement of Laws – Essays in the Economics of Crime and Punishment (Editor: Gary, S. Becker and William M. Landes, eds). Publisher: NBER, p. 62. (in English)
12. North, D,.1990. Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge University Press, p.28. (in English)
13. Fletcher, G., 1985. A Transaction Theory of Crime? 85 COLUM. L. REV. 921, pp. 924-925. (in English)
14. Ansprache von Bundespräsident Richard von Weizsäcker bei der Eröffnung des 56. Deutschen Juristentages, 1986. Siehe Rezension unter: [Online] available at: <https://www.bundespraesident.de/SharedDocs/Reden/DE/Richard-vonWeizsaecker/Reden/1986/09/19860909 _Rede.html_1.> [Accessed 18 Noveember 2022]. (in German)